ხორცისა და ხორცპროდუქტების სექტორი საქართველოში

23 ივნისი 2023

კვლევების დეპარტამენტის უფროსი
ევა ბოჭორიშვილი | evabochorishvili@gt.ge

სექტორული კვლევების განყოფილების უფროსი
კახაბერ სამყურაშვილი | ksamkurashvili@gt.ge

სექტორის უფროსი
მარიამ ჩახვაშვილი | mchakhvashvili@gt.ge

სარჩევი

1	ძირითადი მიგნებები
2	მსოფლიო ტენდენციები
3	ხორცისა და ხორცპროდუქტების ბაზარი საქართველოში
3.1	ხორცის მოხმარება, წარმოება და ვაჭრობა
3.2	ხორცპროდუქტების მოხმარება, წარმოება და იმპორტი
4	სექტორის ძირითადი გამოწვევები და შესაძლებლობები
5	დანართები
6	მნიშვნელოვანი შეტყობინება

ძირითადი მიგნებები

- **მსოფლიო ტენდენციები.** მომდევნო 10 წლის განმავლობაში მსოფლიოში ხორცის მოხმარების 14%-იანი ზრდაა მოსალოდნელი FAO-ს მიხედვით. ამასთან, ყველაზე მაღალი ზრდა პროგნოზირებულია განვითარებად ქვეყნებში და ყველაზე მეტად ფრინველის ხორცის მოხმარების ზრდაა მოსალოდნელი. ზოგადად, ხორცის მოხმარების ტენდენციებს განსაზღვრავს ქვეყნის დემოგრაფია, მოსახლეობის ცხოვრების დონე, კულტურული და რელიგიური ფაქტორები, და ა.შ.
- **საქართველოში ერთ სულ მოსახლეზე ხორცის მოხმარებამ 2022 წელს 39 კგ შეადგინა,** რაც მცირედით აღემატება მსოფლიოს საშუალო მაჩვენებელს (34კგ), მნიშვნელოვნად აჭარბებს აფრიკისა (13კგ) და აზიის (26კგ) საშუალო მაჩვენებლებს და ჩამორჩება ევროპისა (63კგ) და ამერიკის ქვეყნების (99კგ ჩრდილოეთ და 61კგ ლათინური ამერიკა) მაჩვენებლებს.
- **საქართველომ 192 მლნ კგ ხორცი და ხორცპროდუქტი მოიხმარა 2022 წელს,** საიდანაც 148.4 მლნ კგ (ჯამურის 77.3%) იყო ხორცი, ხოლო 43.6 მლნ კგ (ჯამურის 22.7%) ხორცპროდუქტები (სოსისი, სარდელი, ძეხვი და ა.შ.). ხორცეულიდან ყველაზე დიდი მოთხოვნა ფრინველის ხორცზეა, ხოლო შემდეგ ღორისა და საქონლის ხორცზე. 2017-22 წლებში ხორცის მოხმარება საშუალოდ 1.8%-ით, ხოლო ხორცპროდუქტების მოხმარება 3.8%-ით გაიზარდა.
- **ჩვენი პროგნოზით** ხორცის მოხმარება მომავალი ხუთი წლის განმავლობაში (2023-27წწ) წლიურად საშუალოდ 5.0%-ით გაიზრდება, ხოლო ხორცპროდუქტების მოხმარება 8.0%-ით. მოთხოვნის წარმმართველი იქნება მოსახლეობის მსყიდველობითი უნარისა და ტურიზმის ზრდა.
- **ხორცის მოხმარების ნახევარი ადგილობრივი წარმოებით კმაყოფილდება, ხოლო დანარჩენი იმპორტით**. ხორცის წარმოება 2017-22 წლებში წლიურად საშუალოდ 2.8%-ით გაიზარდა და 74.6 მლნ კგ შეადგინა. შედეგად, ხორცის თვითუზრუნველყოფის მაჩვენებელი 48%-დან 50%-ზე ავიდა. ხორცპროდუქტების შემთხვევაში, ადგილობრივი წარმოების წილი 2022 წელს 85%-ს შეადგენდა, რაც მცირედით ჩამორჩება 2017 წლის მაჩვენებელს (88%).
- **ხორცის წარმოებაში მაღალია შინამეურნეობების წილი** (40% 2022 წელს), რის გამოც სექტორი საკმაოდ სეგმენტირებული და დაბალ-მომგებიანია (ევროპულ კომპანიებთან შედარებით). ხორცისა და ხორცპროდუქტების მწარმოებელთა ჯამურმა შემოსავალმა დაახლოებით 1.5 მლრდ ლარი შეადგინა 2022 წელს, საიდანაც 531 მლნ ლარი ხორცპროდუქტების მწარმოებელი კომპანიების შემოსავალი იყო, ხოლო დანარჩენი (დაახლოებით 930 მლნ ლარი) ხორცის პირველადი წარმოების ღირებულება. საქართველოში ყველაზე განვითარებული ფრინველის ხორცის წარმოებაა, თუმცა აქაც მაღალია ზრდის პერსპექტივა შინამეურნეობების წილის შემცირების, იმპორტის ჩანაცვლებისა და მოხმარების ზრდის ხარჯზე.
- **ხორცისა და ხორცპროდუქტების იმპორტმა საქართველოში 187.2 მლნ აშშ დოლარი შეადგინა 2022 წელს** (+35.0% წ/წ), ხოლო ექსპორტმა 48.4 მლნ აშშ დოლარი (+57.9% წ/წ ძირითადად რეექსპორტის ხარჯზე). იმპორტი ძირითადად ბრაზილიიდან ხორციელდება, საიდანაც შემოდის გაყინული ფრინველისა და ღორის ხორცი.

2	მსოფლიო ტენდენციები

მსოფლიოში ხორცის მოხმარება მზარდია, განსაკუთრებით ფრინველის ხორცის

- 2016 წლიდან ფრინველის ხორცის მოხმარებამ პირველ ადგილზე გადაინაცვლა და ჩამოიტოვა ღორის ხორცის მოხმარება. ფრინველის ხორცის მოხმარების ზრდა დაკავშირებულია მის ხელმისაწვდომ ფასთან განვითარებადი ქვეყნების შემთხვევაში, ხოლო განვითარებული ქვეყნების შემთხვევაში ჯანმრთელობაზე გავლენასა და მომზადების სიმარტივესთან.
- მოხმარების ზრდის ძირითადი ფაქტორი მოსახლეობის რაოდენობის ზრდაა, თუმცა მაღალია სხვა ფაქტორების როლიც, როგორიცაა ცხოვრების დონე, ურბანიზაცია, ინდუსტრიალიზაცია, რელიგია, ტრადიციები, ჯანმრთელობის მდგომარეობა და ა.შ.

ხორცის წარმოება სახეობების მიხედვით 1970-2021, მლნ ტონა



წყარო: FAO, გალტ & თაგარტი

ხორცის მოხმარება მსოფლიოში 2019-21, მლნ ტონა



წყარო: FAO, გალტ & თაგარტი
შენიშვნა: 2019-21 წლების საშუალო მოხმარება

ერთ სულზე ხორცის მოხმარება განსხვავდება ქვეყნის ტრადიციების და ეკონომიკური მდგომარეობის მიხედვით

- ერთ სულზე ხორცის მოხმარებით საქართველო (38კგ) ახლოსაა მსოფლიოს საშუალო მაჩვენებელთან (34კგ), საგრძნობლად ჩამორჩება ევროპისა (63კგ) და ამერიკის ქვეყნებს (99კგ ჩრდილოეთ და 61კგ ლათინური ამერიკა) და უსწრებს აფრიკისა (13კგ) და აზიის (26კგ) ქვეყნებს.
- განსხვავების ძირითადი მიზეზი არის კულტურული და კლიმატური თავისებურებები, ტურიზმის განვითარების დონე და ზოგადი ეკონომიკური მდგომარეობა.

მოხმარება ერთ სულზე, 2019-21 წლების საშუალო, კგ



წყარო: FAO, გალტ & თაგარტი

მოსალოდნელია ხორცის მოხმარების მატება გლობალურად 2021-31 პერიოდში, როგორც ჯამურად, ასევე ერთ სულ მოსახლეზე

ხორცის მოხმარების ზრდის პროგნოზი, 2021-31



ხორცის საპროგნოზო მოხმარება მსოფლიოში 2031 წელს, მლნ ტონა



წყარო: OECD, FAO

წყარო: OECD, FAO

ქათმის და ღორის ხორცის ფასები საქონლის ხორცთან შედარებით დაბალია და მოსალოდნელია იგივე ტენდენციის შენარჩუნება მომავალშიც

ხორცის ფასზე გავლენას ახდენს ცხოველის საკვები პროდუქტების ფასები, წარმოების ეფექტიანობა, მოთხოვნა პროდუქტზე, ტრანსპორტირების ხარჯები, ზოგადი ინფლაცია, ცხოველური დაავადებები და ა.შ.

ხორცის საშუალო ფასის პროგნოზი მსოფლიოში, აშშ$ /კგ



წყარო: OECD, FAO; F = პროგნოზი
შენიშვნა: 2015-16 წლებში ფასის ზრდა უკავშირდება ღორის გრიპს და მასთან დაკავშირებულ მოვლენებს: მოთხოვნა-მიწოდებას შორის სხვაობას, იმპორტ-ექსპორტის შეზღუდვებს, კვების რეგულაციების გამკაცრებას და ა.შ.; 2020 წელს ფასები დაეცა მოთხოვნის შემცირების გამო, რაც პანდემიას უკავშირდება.

3	ხორცისა და ხორცპროდუქტების ბაზარი საქართველოში
3.1	ხორცის მოხმარება, წარმოება და ვაჭრობა
3.2	ხორცპროდუქტების მოხმარება, წარმოება და იმპორტი

საქართველოში ხორცის და ხორცპროდუქტების მოხმარება 2022 წელს 192 მლნ კგ-ს შეადგენდა, ყველაზე მეტი ფრინველის ხორცის მოხმარებაა

ხორცის მოხმარება საქართველოში 2022 წელს



წყარო: საქსტატი, გალტ & თაგარტი

საქართველოში ხორცის მოხმარებამ 148.4 მლნ კგ შეადგინა 2022 წელს

- საქართველოში ხორცის მოხმარება წლიურად 6.0%-ით გაიზარდა 2022 წელს, ხოლო 2017-22 წლებში საშუალოდ 1.8%-ით (CAGR). 2017-22 წლებში ყველაზე მეტად გაიზარდა ღორის (+2.6% CAGR), ხოლო შემდგომ ფრინველის ხორცის (+1.0% CAGR) მოხმარება.
- ხორცის მოხმარების ზრდა საქართველოში ძირითადად დამოკიდებულია მოსახლეობის შემოსავლების და ტურისტების რაოდენობის ზრდაზე და მოსახლეობის კვების ჩვევების ცვლილებაზე. საქართველოში ერთ სულ მოსახლეზე ხორცის წლიური მოხმარება 39.7კგ-ს შეადგენს, 2022 წლის მდგომარეობით. შედარებისთვის, ევროპაში ეს მაჩვენებელი 63 კგ-ია.
- ჩვენი პროგნოზით, ხორცის მოხმარება მომავალი ხუთი წლის განმავლობაში (2023-27) წლიურად საშუალოდ 5.0%-ით გაიზრდება, ხოლო ხორცპროდუქტების მოხმარება 8.0%-ით. მოთხოვნის წარმმართველი იქნება მოსახლეობის მსყიდველობითი უნარისა და ტურიზმის ზრდა.

ხორცის მოხმარება, მლნ კგ



წყარო: საქსტატი, გალტ & თაგარტი

ხორცის მოხმარება კატეგორიების მიხედვით



წყარო: საქსტატი, გალტ & თაგარტი

ხორცის საცალო ფასები საქართველოში მატულობს, 2012-22 წლებში განსაკუთრებით გაიზარდა საქონლის ხორცის ფასი

- ხორცის საცალო ფასები მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ხორცის მოხმარების დინამიკაზე, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ფასი სხვადასხვა ტიპის ხორცს შორის არჩევნის გაკეთების დროს.
- ფასის ზრდა განპირობებულია ინფლაციით, იმპორტის ფასის ზრდით (რაც ტრანსპორტირების და გლობალური ფასების ზრდას უკავშირდება), ასევე წარმოების ნედლეულის (საკვები პროდუქტების, მედიკამენტების) ღირებულების და დაქირავებულთა ხელფასების ზრდით.

ხორცის საცალო ფასი საქართველოში, ლარი/კგ



წყარო: საქსტატი, გალტ & თაგარტი
შენიშვნა: ქათმის ხორცი მოიცავს როგორც მთლიან ქათამს, ასევე ქათმის ფილეს და მის სხვა ნაწილებს.

ხორცის წარმოება საქართველოში მზარდია

- საქართველოში ხორცის წარმოება საშუალოდ წელიწადში 2.4%-ით გაიზარდა 2017-22 წლებში და 74.6 მლნ კგ-ს მიაღწია 2022 წელს. საქართველოში ყველაზე მაღალი ფრინველის ხორცის წარმოებაა, ხოლო შემდგომ საქონლის და ღორის ხორცის.
- ყველაზე მაღალი ზრდა 2017-22 წლებში ღორის ხორცის წარმოებას ჰქონდა, მიუხედავად 2022 წელს წლიური 5.0%-იანი კლებისა. წინა წლების დინამიკისგან განსხვავებით, 2022 წელს წლიურად გაიზარდა საქონლის, ცხვრის და თხის ხორცის წარმოება, ხოლო ფრინველისა და ღორის შემცირდა.

ხორცის წარმოება საქართველოში, მლნ კგ



წყარო: საქსტატი, გალტ & თაგარტი

ხორცის წარმოება საქართველოში სახეობების მიხედვით, კგ



წყარო: საქსტატი, გალტ & თაგარტი

წარმოების ზრდის მიუხედავად, საქართველოს დამოკიდებულება იმპორტზე მაინც მაღალია

ხორცის თვითუზრუნველყოფის მაჩვენებელი საქართველოში...



...და რეგიონის ქვეყნებში



წყარო: საქსტატი, გალტ & თაგარტი
შენიშვნა: თვით-უზრუნველყოფის მაჩვენებელი = წარმოება / (იმპორტი + წარმოება - ექსპორტი)
ცხვრის და თხის თვითუზრუნველყოფის მაჩვენებელი = 103%-ს 2022 წელს, რაც ნიშნავს, რომ ქვეყანა წმინდა ექსპორტიორია.

წყარო: FAO, საქსტატი, გალტ & თაგარტი
შენიშვნა: უახლესი ხელმისაწვდომი მონაცემები.
100%-ზე მეტი ნიშნავს რომ ქვეყანა წმინდა ექსპორტიორია

საქონლის და ღორის ხორცის წარმოებაში კვლავ მაღალია შინამეურნეობების წილი, ხოლო ფრინველის ხორცის წარმოება მეტწილად საწარმოებში ხდება

2022 წელს წარმოებული ხორცის ღირებულება ფერმის კართან 934 მლნ ლარს შეადგენდა, რაც წლიურად 25.4%-იანი ზრდაა. ზრდა ძირითადად განპირობებულია ფერმის კართან ფასების ზრდით.

ხორცის წარმოება, მლნ ლარი



საწარმოების წილი ხორცის წარმოებაში



წყარო: საქსტატი, გალტ & თაგარტი

წყარო: საქსტატი, გალტ & თაგარტი

რეგისტრირებულ საწარმოთა ბრუნვამ 395 მლნ ლარი შეადგინა 2022 წელს, რომლის 59% ხორცის, ხოლო 41% კვერცხის გაყიდვიდან მიღებული შემოსავლებია

საწარმოთა ბრუნვა, მლნ ლარი



წყარო: საქსტატი, გალტ & თაგარტი
შენიშვნა: კვერცხის შესახებ ინფორმაცია მოცემულია დანართში

უმსხვილესი საწარმოები შემოსავლის მიხედვით

რეგისტრირებულია 250 აქტიური საწარმო, აქედან მხოლოდ 20 არის მსხვილი და საშუალო კომპანია, რომლთა უმეტესობა ფრინველის ხორცს და კვერცხს აწარმოებს



წყარო: საქსტატი, SARAS, კომპანიის მონაცემები, გალტ & თაგარტი
შენიშვნა: ეს საწარმოები აწარმოებენ ხორცს და კვერცხს.
მსხვილია საწარმო თუ მისი ბრუნვა აღემატება 60 მლნ ლარს ან დასაქმებულთა რაოდენობა აღემატება 250 ადამიანს, მცირეა თუ დასაქმებულთა რაოდენობა 50-ზე ადამიანზე და ბრუნვა 12 მლნ ლარზე ნაკლებია, დანარჩენი კომპანიები საშუალო ზომისაა

საქართველო ხორცის **წმინდა იმპორტიორი** ქვეყანაა

საქართველოს საგარეო ვაჭრობა ხორცით, მლნ კგ



საქართველოს საგარეო ვაჭრობა ხორცით, მლნ აშშ დოლარი



წყარო: საქსტატი, გალტ & თაგარტი
შენიშვნა: მოიცავს მხოლოდ ნედლ ხორცს და არა ხორცის გადამუშავებით მიღებულ პროდუქტებს

წყარო: საქსტატი
შენიშვნა: დეტალურად შეგიძლიათ იხილოთ დანართში

საქართველოში ხორცის იმპორტი წლიურად 32.8%-ით გაიზარდა და 162.1 მლნ აშშ დოლარი შეადგინა 2022 წელს

ხორცის იმპორტი საქართველოში, მლნ აშშ დოლარი



ხორცის იმპორტი ქვეყნების მიხედვით, 2022 წელს



წყარო: საქსტატი, გალტ & თაგარტი
შენიშვნა: მოიცავს ხორცის პირველად პროდუქტებს. ფრინველის ხორცის იმპორტი გაზრდილია ჩინეთიდან და სავარაუდოდ უკავშირდება სომხეთსა და თურქმენეთში რეექსპორტს

წყარო: საქსტატი
შენიშვნა: მოიცავს ხორცის ყველა ტიპს. თითოეული პროდუქტის იმპორტიორი ქვეყნების შესახებ ინფორმაცია იხილეთ დანართებში

2022 წელს გაიზარდა ხორცის ექსპორტი პოსტსაბჭოთა ქვეყნებში

საქართველოდან ხორცის ექსპორტმა 45.8 აშშ დოლარი და 25.9 მლნ კგ შეადგინა 2022 წელს. ექსპორტის დაახლოებით ნახევარი გაყინული ხორცის რეექსპორტია. ძირითადი საექსპორტო ბაზრებია მეზობელი და პოსტსაბჭოთა ქვეყნები. 2020 წლამდე მაღალი იყო მოთხოვნა ცხვრის ხორცზე შუა აღმოსავლეთის ქვეყნებიდან (ირანი, არაბთა გაერთიანებული საამიროები, ქუვეითი, და ა.შ.), რომელიც შემდგომ ამავე ქვეყნებში ცოცხალი ცხვრის ექსპორტით ჩანაცვლდა.

ხორცის ექსპორტი საქართველოდან, მლნ აშშ დოლარი



წყარო: საქსტატი, გალტ & თაგარტი

ხორცის ექსპორტი ქვეყნების მიხედვით, 2022 წელს



წყარო: საქსტატი, გალტ & თაგარტი

3	ხორცისა და ხორცპროდუქტების ბაზარი საქართველოში
3.1	ხორცის მოხმარება, წარმოება და ვაჭრობა
3.2	ხორცპროდუქტების მოხმარება, წარმოება და იმპორტი

ძეხვეულისა და გადამუშავებული ხორცპროდუქტების მოხმარებამ საქათველოში 43.6მლნ კგ შეადგინა 2022 წელს, საიდანაც 85% ადგილობრივი წარმოებაა

ხორცპროდუქტების მოხმარება საქართველოში, მლნ კგ



ხორცპროდუქტების მოხმარება პროდუქტების მიხედვით



წყარო: საქსტატი, გალტ & თაგარტი
შენიშვნა: ხორცპროდუქტების ექსპორტი უმნიშვნელოა

წყარო: საქსტატი, გალტ & თაგარტი

ხორცპროდუქტების მწარმოებელი კომპანიების შემოსავლები მზარდია და სექტორის ბრუნვის 40%-ზე მეტს ტოპ-3 საწარმო ქმნის

ხორცპროდუქტების წარმოების სექტორის ბრუნვა



წყარო: საქსტატი, გალტ & თაგარტი
შენიშვნა: მოიცავს ხორცის გადამუშავებას, დაკონსერვებას და ხორცის პროდუქტების წარმოებას. სექტორში რეგისტრირებულია 289 აქტიური ბიზნეს სუბიექტი, საიდანაც მხოლოდ 21 კომპანიაა საშუალო ან მსხვილი ზომის

ტოპ კომპანიები 2021 წელს



წყარო: საქსტატი, SARAS, გალტ & თაგარტი
შენიშვნა: 2021 წლის შემოსავლის მიხედვით.
სექტორში რეგისტრირებულია 289 აქტიური ბიზნეს სუბიექტი, საიდანაც მხოლოდ 21 კომპანიაა საშუალო ან მსხვილი ზომის

ხორცპროდუქტების მწარმოებელი კომპანიების მომგებიანობა ჩამორჩება ევროპის შესადარი ქვეყნების საშუალო მაჩვენებლებს

მომგებიანობის მაჩვენებლები საქართველოში



წყარო: SARAS, გალტ & თაგარტი
შენიშვნა: უახლესი ხელმისაწვდომი მონაცემები
საქართველოს მონაცემები წარმოადგენს16 შერჩეული კომპანიის საშუალო მაჩვენებელს

მომგებიანობის მაჩვენებლები ევროპის შესადარ ქვეყნებში



წყარო: Capital IQ, გალტ & თაგარტი
შენიშვნა: უახლესი ხელმისაწვდომი მონაცემები
ევროპის შესადარი ქვეყნები მოიცავს პოლონეთს, ლატვიას, ხორვატიას, რუმინეთს, კვიპროსს და ა.შ. 2022 წლის მონაცემები მოიცავს 8 კომპანიის მაჩვენებლებს, ხოლო 2021 წლის - 16 კომპანიას.

საქართველოში ხორცპროდუქტების იმპორტი გაიზარდა 32.5%-ით 25.1 მლნ აშშ დოლარამდე 2022 წელს

ხორცპროდუქტების იმპორტი საქართველოში, მლნ აშშ დოლარი



წყარო: საქსტატი
შენიშვნა: ამ კატეგორიის ექსპორტი უმნიშვნელოა.

ხორცპროდუქტების იმპორტი ქვეყნების მიხედვით, 2022 წელს



წყარო: საქსტატი
შენიშვნა: იმპორტი გაზრდილია ძირითადად რუსეთიდან, ბელორუსიიდან და ევროპის ქვეყნებიდან.

4	სექტორის ძირითადი გამოწვევები და შესაძლებლობები

მსხვილი საწარმოების ნაკლებობა და დაბალი ეფექტიანობა სექტორის მთავარი გამოწვევაა

გამოწვევები

- **დაბალი კორპორატიზაცია:** ხორცის პირველადი წარმოების ძირითადი წყარო კვლავ შინამეურნეობებია, რის გამოც დაბალია ეფექტიანობა.
- **ვეტერინარების დეფიციტი:** გამოცდილი ვეტერინარების რაოდენობა შეზღუდულია. ცხოველთა ავადობა ყველაზე მნიშვნელოვანი პრობლემაა მეცხოველეობის სფეროში. შესაბამისად, კვალიფიციური ვეტერინარები, მედიკამენტების ხელმისაწვდომობა და დროული რეაგირება მეცხოველეობის ფერმებისთვის კრიტიკულად მნიშვნელოვანია.
- **ცოდნის დეფიციტი/ფინანსებზე ხელმისაწვდომობა:** ფერმერული საქმიანობის დაწყება და გამსხვილება საკმაოდ ხანგრძლივი პროცესია და საჭიროებს ცოდნას, გამოცდილებას და ფინანსურ რესურსებს.
- **დისტრიბუცია და დასაწყობება** დარგში კვლავ გამოწვევად რჩება, რაც საწარმოთა მცირე ზომითაც შეიძლება აიხსნას.

შესაძლებლობები

- **მოთხოვნის ზრდა:** ხორცის მოხმარება მზარდია, როგორც მოსახლეობის მსყიდველუნარიანობის ზრდის, ისე ტურიზმის განვითარების კვალდაკვალ. ყველაზე მაღალი მოთხოვნა კვლავ ფრინველის ხორცზეა მოსალოდნელი, გლობალური ტენდენციების შესაბამისად.
- **საწარმოთა გამსხვილება:** ხორცის პირველად წარმოებაში მაღალია ახალი საწარმოების გაჩენის და გაფართოების პოტენციალი. ამ ეტაპზე მსხვილი საწარმოები ძირითადად ფრინველის ხორცის წარმოებაში გვხვდება, ხოლო სხვა მიმართულებით უმეტესწილად მცირე ფერმერები არიან ბაზარზე.
- **ვერტიკალური ინტეგრაცია:** საცალო გაყიდვების კომპანიებისთვის საკუთარი საწარმოო ან სადისტრიბუციო ხაზის შექმნა შესაძლოა გაფართოების კარგი გზა იყოს.
- **ლოჯისტიკა:** საწყობებისთვის, სამაცივრე მეურნეობებისთვის და სადისტრიბუციო კომპანიებისთვის ხორცის პირველადი მწარმოებლები პოტენციურ კლიენტებს წარმოადგენენ. ამ მიმართულებით ზრდის პერსპექტივა მაღალია.

დანართი 1: ხორცის მოხმარება მსოფლიოში დამოკიდებულია ეკონომიკურ კეთილდღეობაზე, ტრადიციებზე და კულტურულ თავისებურებებზე

ხორცის წლიური მოხმარება და მშპ ერთ სულზე



წყარო: OECD, მსოფლიო ბანკი, საქსტატი
შენიშვნა: უახლესი ხელმისაწვდომი მონაცემები

დანართი 2: წარმოება და იმპორტი საქართველოში - ქათმის ხორცი

ქათმის ხორცის მოხმარება, იმპორტი და ექსპორტი, მლნ კგ



წყარო: საქსტატი

ქათმის ხორცის იმპორტი ქვეყნების მიხედვით, 2022



წყარო: საქსტატი

დანართი 3: წარმოება და იმპორტი საქართველოში - ღორის ხორცი

ღორის ხორცის მოხმარება, იმპორტი და ექსპორტი, მლნ კგ



წყარო: საქსტატი

ღორის ხორცის იმპორტი ქვეყნების მიხედვით, 2022



წყარო: საქსტატი

დანართი 4: წარმოება და იმპორტი საქართველოში - საქონლის ხორცი

საქონლის ხორცის მოხმარება, იმპორტი და ექსპორტი, მლნ კგ



წყარო: საქსტატი

საქონლის ხორცის იმპორტი ქვეყნების მიხედვით, 2022



წყარო: საქსტატი

დანართი 5: საქართველოში **კვერცხის** წარმოება ადგილობრივ მოხმარებას თითქმის სრულად აკმაყოფილებს, თვითუზრუნველყოფის მაჩვენებელი 96%-ა

კვერცხის წარმოება საქართველოში



წყარო: საქსტატი

დანართი 6: საქართველოში ხორცპროდუქტების საცალო ფასები მზარდია

ხორცპროდუქტების საცალო ფასი საქართველოში, ლარი კგ-ზე



წყარო: საქსტატი
შენიშვნა: ფასი მაღაზიაში დღგ-ს გარეშე

მნიშვნელოვანი შეტყობინება

ეს დოკუმენტი არის სს "გალტ ენდ თაგარტის" ("გალტ & თაგარტი"), რომელიც არის სს საქართველოს ბანკის ჯგუფის ("ჯგუფი") წევრი, საკუთრება და მომზადებულია გალტ & თაგარტი-ის მიერ, მხოლოდ საინფორმაციო მიზნებისთვის და მასში ნახსენები კომპანიებისგან დამოუკიდებლად. ეს დოკუმენტი არ წარმოადგენს რაიმეს ნაწილს და არ უნდა იქნას განხილული, როგორც შეთავაზება ან კლიენტების მოზიდვა ან მოწვევა რაიმე აქტივების ყიდვისთვის ან გაყიდვისთვის, ან გამოწერისთვის და ამ დოკუმენტის არცერთი ნაწილი არ ქმნის საფუძველს კონტრაქტისთვის ან ვალდებულებისთვის და არ შეიძლება განხილული იყოს, როგორც რეკომენდაცია რაიმე მსგავსი ქმედებისთვის.

გალტ ენდ თაგარტი უფლებამოსილია აწარმოოს პროფესიონალური აქტივობა საქართველოს ბაზარზე. ამ დოკუმენტის ცირკულირება გარკვეული იურისდიქციების ფარგლებში შეიძლება აკრძალული იყოს კანონით. პირებს, რომელთა მფლობელობაშიც ეს დოკუმენტი აღმოჩნდება, გალტ ენდ თაგარტისგან მოეთხოვებათ დაიცვან ყველა ის შეზღუდვა, რომელიც მოქმედებს მათ მიმართ. ეს დოკუმენტი არ არის განზრახული გავრცელებისთვის, პირდაპირ ან ირიბად, ან გამოყენებისთვის ნებისმიერი პირის ან ორგანიზაციის მიერ, რომელიც არის რაიმე ადგილის, სახელმწიფოს ან სხვა რაიმე იურისდიქციის მკვიდრი ან მოქალაქე, სადაც ამგვარი გავრცელება, პუბლიკაცია, ხელმისაწვდომობა ან გამოყენება კანონის ან რეგულაციის საწინააღმდეგო იქნებოდა ან რომელიც მოითხოვდა რეგისტრაციას ან ლიცენზირებას ამგვარი იურისდიქციის ფარგლებში.

ინვესტიციები (ან მოკლევადიანი გარიგებები) განვითარებად ბაზრებზე დაკავშირებულია მნიშვნელოვან რისკთან და მერყეობასთან და შეიძლება არ იყოს ყველასთვის შესაფერისი. ამ დოკუმენტის მიმღებმა პირებმა უნდა მიიღონ საკუთარი საინვესტიციო გადაწყვეტილებები, რომლებიც მათ მიაჩნიათ სწორად, მათ საკუთარ ამოცანებსა და ფინანსურ მდგომარეობაზე დაყრდნობით. ამ პროცესში ამგვარი მიმღები პირები დარწმუნებული უნდა იყვნენ თავიანთ ქმედებებში, როცა ახორციელებენ რისკების შეფასებას, რომლებიც დამახასიათებელია განვითარებად ბაზრებზე ინვესტირებისთვის, მათ შორის პოტენციური პოლიტიკური და ეკონომიკური არასტაბილურობა, სხვა პოლიტიკური რისკები, კერძოდ, ცვლილებები კანონებში და ტარიფებში, აქტივების ნაციონალიზაცია და ვალუტის გაცვლითი კურსის რისკი.

გალტ ენდ თაგარტის ან ჯგუფის რომელიმე წევრის ან მათი დირექტორების, თანამშრომლების, ფილიალების, მრჩევლების ან აგენტების, ან რომელიმე სხვა პირის მიერ არ მომხდარა რაიმე რწმუნების, გარანტიის ან ვალდებულების წარდგენა ან აღება, აშკარად გამოხატულის ან ნაგულისხმევის, და ამ დოკუმენტს არ აქვს პრეტენზია მასში არსებული ინფორმაციის უტყუარობაზე, სისწორეზე და ამომწურავობაზე (და იმაზე, რომ რაიმე ინფორმაცია არ არის გამოტოვებული ამ დოკუმენტიდან) და არ შეიძლება მასზე დაყრდნობა. ეს დოკუმენტი არ უნდა განიხილებოდეს, როგორც ბაზრების, ინდუსტრიების და/ან კომპანიების სრული აღწერა, რომლებიც მასში არის ნახსენები. ამ დოკუმენტის არცერთი ნაწილი არ წარმოადგენს სამართლებრივ, საინვესტიციო, ბიზნეს ან საგადასახადო რჩევას, წარსულის ან მომავლის მიმართ, გალტ ენდ თაგარტის ან ჯგუფის რომელიმე წევრის ან მათი დირექტორების, თანამშრომლების, ფილიალების, მრჩევლების ან აგენტების მხრიდან. დოკუმენტის მიმღებებს მოეთხოვებათ ჩაატარონ მათი საკუთარი დამოუკიდებელი კვლევა და შეფასება ამ დოკუმენტში განხილულ საკითხებთან დაკავშირებით. ნებისმიერი საინვესტიციო გადაწყვეტილება მიღებული უნდა იქნას მხოლოდ ინვესტორის პირადი შეხედულებით. კანონის თანახმად, გალტ ენდ თაგარტი ან ჯგუფის რომელიმე წევრი ან მათი დირექტორები, თანამშრომლები, ფილიალები, მრჩევლები ან აგენტები პასუხისმგებლობას არ იღებენ ნებისმიერ ვალდებულებაზე რაიმე ზიანის ან ზარალის მიმართ, რომელიც შეიძლება წარმოიქმნას, პირდაპირ ან ირიბად, ამ დოკუმენტის ან მისი შინაარსის რაიმე გამოყენების შედეგად, ან რაიმენაირად უკავშირდებოდეს ამ დოკუმენტს, ან რაიმე ქმედების, ან უმოქმედობის შედეგად რომელიმე მხარის მიერ, ამ დოკუმენტის საფუძველზე.

ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაცია ექვემდებარება შემოწმებას, სრულყოფას და ცვლილებას შეტყობინების გარეშე და გალტ ენდ თაგარტს არ აქვს რაიმე ვალდებულება ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაციის განახლების ან აქტუალურობის შენარჩუნების მიმართ. ამ დოკუმენტის მიწოდება არც ერთ შემთხვევაში არ ნიშნავს იმას, რომ არ მომხდარა ინფორმაციის ცვლილება ამ დოკუმენტის თარიღის შემდგომ ან იმ თარიღის შემდგომ, როდესაც ეს დოკუმენტი უკანასკნელად განახლდა, ან რომ ამ დოკუმენტში მოცემული ინფორმაცია უტყუარია რაიმე პერიოდისთვის იმ თარიღის შემდეგ, როდესაც მისი მიწოდება მოხდა, ან, თუ განსხვავებულია, ამ დოკუმენტში მითითებული თარიღის შემდეგ. გალტ ენდ თაგარტის ან ჯგუფის რომელიმე წევრის ან მათი დირექტორების, თანამშრომლების, ფილიალების, მრჩევლების ან აგენტების მიერ არ გაცემულა რაიმე რწმუნება ან გარანტია, აშკარად გამოხატული ან ნაგულისხმევი ამ ინფორმაციის სისწორესთან და ამომწურავობასთან დაკავშირებით.

ამ დოკუმენტში მოწოდებული ინფორმაცია და გამოთქმული მოსაზრებები ემყარება ინფორმაციას, რომელიც ხელმისაწვდომი იყო გამოცემის თარიღისთვის და წარმოადგენს მხოლოდ გალტ ენდ თაგარტის შიდა კვლევის ნაწილს. მოსაზრებები, პროგნოზები და შეფასებები, რომლებიც მოცემულია მასში, მიღებულია მესამე მხარის წყაროებიდან, რომლებიც მიჩნეულია სანდოდ და კეთილსინდისიერად, და შეიძლება შეიცვალოს შეტყობინების გარეშე. მესამე მხარის პუბლიკაციები, კვლევები და გამოკითხვები ზოგადად აჩვენებს, რომ ამ დოკუმენტში მოცემული ინფორმაცია მიღებულია წყაროებიდან, რომლებიც მიჩნეულია სანდოდ, მაგრამ არ არსებობს ამ მონაცემების სისწორის და ამომწურავობის გარანტია. შესაბამისად, არ შეიძლება დაყრდნობა ნებისმიერ იმ მონაცემზე, რომელიც მოცემულია ამ დოკუმენტში. არც გალტ ენდ თაგარტი, არც ჯგუფის რომელიმე წევრი, ან მათი დირექტორები, თანამშრომლები, ფილიალები, მრჩევლები ან აგენტები არ გასცემენ რაიმე რწმუნებას ან გარანტიას, აშკარად გამოხატულს ან ნაგულისხმევს, ამ დოკუმენტის სარგებლიანობაზე მომავალი საქმიანობის პროგნოზირების საკითხში, ან რომელიმე ფასიანი ქაღალდის ან აქტივის მიმდინარე ან მომავალი ღირებულების შეფასებაში.

გალტ ენდ თაგარტს და ჯგუფის ნებისმიერ წევრს შეიძლება ჰქონდეს ბიზნესი ან ცდილობდეს ბიზნეს-ურთიერთობის დამყარებას კომპანიებთან, რომლებიც მოცულნი არიან ამ კვლევით. შედეგად, ინვესტორებმა უნდა იცოდნენ ინტერესთა პოტენციური კონფლიქტის შესახებ, რომელსაც შეუძლია გავლენა მოახდინოს ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაციის ობიექტურობაზე.

ამ დოკუმენტის ან მისი ნებისმიერი ნაწილის უნებართვო კოპირება, გავრცელება, პუბლიკაცია ან განმეორებითი გადაცემა რაიმე მედიით ან რაიმე ფორმით ნებისმიერი მიზნისთვის მკაცრად აკრძალულია.

ამ დოკუმენტის მიმღები პირები პასუხისმგებელნი არიან ვირუსების და სხვა დესტრუქციული მოვლენებისგან დაცვაზე. ელექტრონული გადაცემის მიღება ხდება მიმღები პირის საკუთარი რისკის ხარჯზე და წარმოადგენს მის პასუხისმგებლობას, მიიღოს ზომები, რომ ვირუსებისგან და სხვა დესტრუქციული მოვლენებისგან უზრუნველყოს დაცვა.

კვლევების დეპარტამენტის ხელმძღვანელი
ევა ბოჭორიშვილი | evaboshorishvili@gt.ge

მაკროეკონომიკური ანალიზისა და პროგნოზირების სამსახურის უფროსი
ლაშა ქავთარაძე | lkavtaradze@gt.ge

ანალიტიკური განყოფილების უფროსი
გიორგი ირემაშვილი | giremashvili@gt.ge

სექტორული კვლევების განყოფილების ხელმძღვანელი
კახაბერ სამყურაშვილი | ksamkurashvili@gt.ge

მისამართი: 3 პუშკინის ქუჩა, თბილისი, 0105, საქართველო
ტელ: + (995) 32 2401 111
ელ. ფოსტა: research@gt.ge

სექტორის უფროსი
მარიამ ჩახვაშვილი | mchakhvashvili@gt.ge

სექტორის უფროსი
თათია მამრიკიშვილი | tmamrikishvili@gt.ge

ანალიტიკოსი
გიგა ნოზაძე | gnozadze@gt.ge

ანალიტიკოსი
გიორგი ცქიტიშვილი | g.tskitishvili@gt.ge

ანალიტიკოსი
ზურაბ თავყელიშვილი | ztavkelishvili@gt.ge

ანალიტიკოსი
სერგი ყურაშვილი | skurashvili@gt.ge

სტაჟიორ ანალიტიკოსი
დაჩი მუჯირიშვილი | dmujirishvili@gt.ge